თავ-გადასავალი იმერთა მეფის სოლომონ დიდის შვილის-შვილის ბატონიშვილის გიორგისა

(ავტობიოგრაფია)

რამდენისამე წლის წინად ჩვენ ხელში ჩაგვივარდა პატარა ლამაზის მხედრულით, მსხვილ ასოებით დაწერილი რვეული (4⁰, გვ. 1—17), რომელშიაც სოლომონ დიდის (მეფობდა 1750—1789 წლებში) შვილის-შვილი გიორგი თვით აღწერს თვისს თავ-გადასავალს სიკვდილის წინ სამის თვით, 9 აგვისტოს 1807 წ. ეს ხელნაწერი შუქსა ჰფენს 1790—1807 წლების ისტორიას იმერეთისას და საყურადღებოა, როგორც ნაშთიცა იმ დროინდელის მწერლობისა.

დიდს სოლომონ მეფეს ჰყვანდა ერთად-ერთი ვაჟიშვილი ალექსანდრე, მემკვიდრე იმერეთის ტახტისა. ეს ალექსანდრე მამისავე სიცოცხლეში გარდაიცვალა 1780 წელს უშვილოდ, მაგრამ ალექსანდრეს ხარჭის შვილი ჰყვანდა, სახელით გიორგი, დაბადებული 1775 წ., რომელსაც სოლომონ დიდი ზრდიდა, როგორც მემკვიდრეს იმერეთის ტახტისას. თვით გიორგის მოწმობით, სოლომონ დიდმა თვისსავე სიცოცხლეში გამოაცხადა მამა მისი ალექსანდრე მეფედ იმერეთისა, ხოლო ალექსანდრეს სიკვდილის შემდეგ (1780 წ.) მისი ადგილი (მემკვიდრეობა ტახტისა) უბოძა მისს შვილს გიორგის (Акты Арх. Ком. т. Ш, გვ. 125 და შემდეგი).

1784 წელს, 23 აპრილს, გიორგობას, გარდაიცვალა მეფე სოლომონ დიდი; გიორგი დარჩა მცირე წლოვანი, და სამეფოს გამგეობა ხელში ჩაიგდო სოლომონ მეფის ბიძაშვილმა დავითმა,

მეფის გიორგი VII-ის შვილმა. ამ დაკითხვაც გამოუჩნდა მეტოქედ სოლომონ დიდის ძმის-წული, არჩილის ძე, სოლომონ II, რომელმაც დადიანის გრიგოლის შემწეობით 1789 წელს გადაკვდა იგი და თვით გამეფდა; მაგრამ დაკით მეფე-ყოფილი მოსკენებას არ ძლეკდა სოლომონ II-ს და 1789—1795 წლებში მათ შორის მუდმივი ბრძოლა იყო, სანამ არ მოკვდა დავით მეფე-ყოფილი 1795 წელს. გიორგი ბატონიშვილი, როგორც თვითონ სწერს, იზრდებოდა სოლომონის სასახლეში და მეფეტკბილად ეპურობოდა მას, როგორც საკუთარს შვილს. მაგრამ დავით მეფის გარდაცვალების შემდეგ სრულიად დაირღვა კეთილი განწყობილება მეფისა გიორგისადმი. ამისი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ მეფის მტრებმა მოინდომეს გიორგის კამეფება და სოლომონ მეფის დამხობა. ამის გამო მეფემ გიორგი დაამწყვდია მუხურის მიუდგომელს ციხეში.

თვისს ავტობიოგრაფიაში გიორგი აღგვიწერს ამ გარემოებათა, თავისს უბედურ ცხოვრებას ამ ციხეში, იქიდან გამოხსნას და განთავისუფლებას. ოთველიეს ეს გამოსადეგია ჩვენის ისტორიის და მწერლობის მკვლევართათვის და ამის გამო კბეჭდავთ ყურნალს «ძოაძბე»-ში განმარტებითურთ.

შემოხვეწანი იმერთა მეფის სოლომონის ძის ძისა გიორგი ალექსანდრესისა.

(ავტობიოგრაფია)

«ვითხოვ უფალბელსად ოთველთა მაღალთაგან, ვიდრე მდაბალთადმდე, რათა ენინისა ამის შემოხვეულობიათისა აღწერისათვის არა განვისაჯო კანიერიათა სულიათა თქუმად მცირისათვის ლექსისა, რომელი ითხოვა სასწორებამან ჩემმან განცხადებად გარდასულიესა ჩემზედა უბედობისა, რომელსაცა ვრცხ მადლობად ღვთისა ოთველსაგე ჩემდა ოთველსა და ოთველადსა ამას ბედნიერობასა, ვინაჲ-განა შო უზენესესმან მადლმა უმორჩილესს მონად და შემწირველად სასახლისა ჩემისა უაგვისტოესისა ამის მონარხისადმი.

აწ, კელმწიფენო, ინებეთ აღმოკითხვად,—ვითარცა ისტორიკისა, შემოკლებულისა თავსა ზ҃ა ჩემსა გარდასლვულისა უბედობისა ძლით ჩემისა.

სქესმან რა შობით აღმომაჩინა მე ძის ძედ მეფისა, იმერთა სოლომონ პ.რვ҃ლისა [1]), რომელიცა იყო საფარველისა ქუ҃შე მიღებულ იმპერატორების დიდებულების ეკატერინე მეორეჲს მიერ. მზრდიდა იგი მოწყალეობითა მეფურითა და ნაწლეობითა პაპურითა, ვინაჲთგან იყო ჟამსა მას გარდაცვალებულ ამიერ მამაჲ ჩემი, ძე მისი ალექსანდრე [2]), რომელსაცა დავ҃შთი ობლად წლისა ერთ ნახევრისა, მზრუნველობასა ქუ҃შე პაპისა ჩემისასა, გარნა არა ისარგებლა გრძლად ჩემზედ ჟამმან ქცევადმან და მიმეფარა პაპაცა ჩემი და დავშთი მასცა წლისა ექუ҃სისა [3]) სრულიად ობლად და უზედამხედველოდ, უმამო, უპაპო და უძმო.

---

[1]) ფრასა „შობით აღმომაჩინა“ აღნიშნავს იმას, რომ გვაროვნობითის შთამომავლობით გიორგი არ იყო კანონიერი ძის-ძე სოლომონ მეფისა, ის იყო უკანონო შვილი სოლომონის ძის ალექსანდრესი.

[2]) ალექსანდრე, გიორგის მამა, დაიბადა **1760** წ. და მოკვდა **1780** წ. ჩვენის ქრონიკის ცნობით სოლომონ მეფემ **1780** წელს გააშვებინა ალექსანდრეს თავისი ცოლი ევგენ აბაშიძის ქალი და ამავე წელს შეირთო მერაბ ნიჟარაძის ქალი (**Broset. Hist. mod** § 28 და ჩვენი „ქრონიკები“ **1780** წ. ქვეშე). ამის მიზეზი უსათუოდ უნდა ყოფილიყო უნაყოფობა პირველის ცოლისა. ხოლო გიორგი უნდა დაბადებულიყოს მაშინ, როდესაც ალექსანდრეს ჯერ ცოლი არ შეერთო.

[3]) ექვსის წლის თუ იყო ალექსანდრე სოლომონ მეფის სიკვდილის წელს, **23** აპრილს **1784** წელს და ერთ-წელ ნახევრისა **1780** წელს, როდესაც მოკვდა მამა მისი, და **17** წლისა **1795** წლის ახლო ხანს, როგორც ქვემო თვითონ სწერს, აქიდამ სჩანს, რომ ის დაბადებულა **1778** წელს. მაგრამ ამ ცნობებს ეწინააღმდეგება გიორგის საფლავის ქვაზე წარწერილი, ტარასი არქიმანდრიტის მიერ გადმოღებული, რომელიც გვიჩვენებს გიორგის სიკვდილს **24** ნოემბერს **1807** წელს მე-**32** წელს მისის ცხოვრებისას, რომლისაგან სჩანს, რომ ის დაბადებულა **1775** წელს (ბროსეს **Instcr. tumulaires №№ 89** და **95** საფლავის წარწერა არეულად ამოკითხულია).

აქ საჭიროდ ვხედავთ აღვნიშნოთ, რომ სოლომონ მეფის სიკვდილს აქამდის ცნობილი წყაროები გვიჩვენებენ **1782** წელს **23** აპრილს. ეს ცნო-

ხოლო შემოდგომად მისა იქმნა მეფედ ძეჲ ბიძისა მისისა დავით გიორგის ძე და იგიცა ხანსა მცირესა გარდაიცვალა ახალ-ციხეს რომლითამე მიზეზითა 4) და აღვიდა ტახტსა სამეფოსა იმერთასა აწმყოჲ მეფეჲ მეორეჲ სოლომონ 5), ძმის ძე პაპისა ჩემისა, რომელმანცა ნუგეშსცა ობლობასა ჩემსა, შემიტკბო ვითარცა ძმაჲ და შემიყვარა ვ͠ა ძეჲ, ესრეთ რომელ (არა) შესაძლებელ არს თქმად პატრონ-ყმობათა შორის უმოწყალესისა სიყვარულისა, თანამეგობრობითაცა ღირს მყო. ხოლო ვუყვარდი ერთაცა ობლობით, პაპისა ჩემისა უსაჩინოეს მრავალ-გვართა მათდა ღვაწლ დებულებისათვის. გარნა ვერ თავს-იდებდა მოშურნეჲ სიყვარულისა ეშმაკი ამას ყოველსა და აღადგინნა მცბიერნი ვინამენნი ღალვად და განმკვეთელად ჩემდა, რომლისათვისცა მისცეს მეფესა სიყვარულისა წილ და მოწყალებისა იჭვი ჩემზედა გარემზომობისა, ვინაჲთგან აქვთ მრავალთა კაცთა ესე ვითარი ღუარძლი თესვად, რათა განჰხეთქონ საზომთა სრულებათ მოწყალებისა.

ბა რომ შეცდომაა, ამისი საბუთები მრავალი გვაქს ჩვენს „ქრონიკებში“ შეტანილი **1784** წ. ქვეშე. ამ საბუთებისაგან უეჭველი ხდება, რომ მეფე მომკვდარა უეცარის სიკვდილით **1784** წელს **23** აპრილს, როდესაც მას დილით ქუთაისში ცხენი მოართვეს ხონის წმინდა გიორგის დღესასწაულზე წასასვლელად. ორწლოვანი შეცდომა სოლომონ დიდის სიკვდილისა ყველა წყაროებში შეპარულა მეფის საფლავის ქვის წარწერიდან (გელათის დიდს ეკკლესიაში), რომელზედაც მეფის სიკვდილი შეცდომით აღნიშნულია **1782** წელს, თვითონ ბროსსე ეჭვშია თვისს ცნობების სიმართლეში (**Hist modern. p. 249, n. 3**).

4) დავით II, გიორგის ძე, მეფობდა **1784—1789**. იგი მოკვდა ახალციხეს ჩვენის „ქრონიკების“ ცნობებით **1795** წელს **12** იანვარს ყვავილითა (იხ. ჩემი „ქრონიკები“ **1793** და **1795** წწ. ქვეშე). თუმცა დავით მერე ისევ გამეფდა, მაგრამ სოლომონმა ხელ-ახლა გადააგდო **1791** ან **1792** წ.

5) ჩვენის „ქრონიკებით“ ეს ყოფილა **1789** წელს, **11**-ს ივლისს, მეორე დღეს შემდეგ მათხონჯის ომისა (**10** ივნისს). იხ. კიდე **Акты арх. к. II, 513,553.** გელათის „კინკლოსი“ (ხელნაწერითაც ეს ყოფილა ივლისის **11**-ს ოთხშაბათს, რომელიც მართლა მოდიოდა **11** ივლისს **1789** წ. იხ. კიდე **Акты арх. к. I, 60; II, 372.**

ჭყუნეს მრავალნი ღონიძიებანი და მანქანებანი ხელოვნებითა მცბიერობისათა ვინამეთა და ზედას-ზეთხოვითა, ვითარცა ერთგულებისა სახისა მჩვენებელთა, შემარისხეს მეფე, რომელსა შეუდგა ცოდვაჲცა ჩემი უბედურსა სიჭაბუკისა ჩემისა წილ-ხვდომასა.

ვიქმენ მოკლებულ მოწყალებისა მისისა, განძებულ პალატთაგან სამეუფოთა, დამტევებელი ყოველთა განცხრომათა მამულისათა, მგლოვიარე განყრისათვის მეუღლაჲსა და მტირალი შვილთა მოშორვებისა, ვიგონებდი ერთი მეორისა უმძიმესთა მოსათმენთა, რომელიცა ვიყავ ჟამსა მას წლისა ათშვიდმეტისა [6]).

ვიქმენ პატიმარ და დახშულ რკინისა შ~ა ციხესა მუხურისასა, შეუპოვრად წოდებულსა, რომელიცა არს საზღვართა იმერეთისა და რაჭისათა მთისა მაღლისა ძირსა, კლდე მარტივად აღსლვული ბუნებით და ზედა შენობანი მწირნი, ხოლო სიმაღლე ციხისა მის

---

[6]) თუ მივსდიეთ თვით გიორგის წელთა ანგარიშებს (იხ, ზემო შენიშვნა № 3), მაშინ გიორგი 17 წლის იქნებოდა 1795 წელს, როდესაც იგი, როგორც სჩანს, პირველად დაატყვევა სოლომონმა მუხურის ციხეში. აქიდან ცხადია თვით მიზეზიცა დატყვევებისა: 1795 წელს მოკვდა მეტოქე სოლომონისა დავით მეფე-ყოფილი (შენიშ. № 4), მაშინ მტრებმა (დადიანმა და წულუკიძეთა) განიზრახეს ამ გიორგის ხელში ჩაგდება და მისი გამეფება იმერეთში, რის გამო მეფემ დაატყვევა უკანასკნელი მიუდგომელს ციხეში—მუხურში, არგვეთის თავს. თვითონ ნიკოლოზ დადიანი თვისს ისტორიაში მოიხსენებს ამ მიზეზს, და თვით სოლომონსაც რომ ამისი ეჭვი ჰქონია, ეს სჩანს შემდეგის წყაროებიდან: **Broset. Hist. modern. p. 264, Акты, Арх. К. П, 435, 347, 349; Ш, 125—6.** ხოლო ამ აზრით რომ აღჭურვილი ყოფილა დადიანი, ეს ცხადად გამოსთქვა ნიკოლოზ დადიანმა პეტერბურგში ყოფნის დროს 1804 წელს. როდესაც გიორგი განთავისუფლდა სოლომონის ხელიდან 1806 წელს და რუსებს შეეფარა, ნიკო დადიანმა (მემატიანემ) მაშინვე ურჩია რუსთ მთავრობას, რომ გიორგის სახელით აეჯანყებინათ იმერეთი მეფის წინააღმდეგ და დაეთრგუნათ ძალა სოლომონისა (Акти Ш, 125). თვით გიორგის წერილიდან, ნამესტნიკ გუდოვიჩთან მიწერილიდან 3 ნოემბ. 1806 წელს, სჩანს, რომ ის თავის თავს სთვლიდა კანონიერ მემკვიდრედ დიდის სოლომონის მეფისა (Акты. Ш,—IV, გვ. 126).—ჩვიდმეტის წლის გიორგის, როგორც აქ სწერს, ცოლშვილი ჰყოლია 1795 წელს.

ქსარნი ორმეოტნი, ანუ მცირეთა ნაკლნი იგვრდიე ეოკლით კერძო, თვინიერ კარისა, და შინაგან საეოფლისა მის თქვმად არა ჯერ არს, თუ ვითარ არს ეოკლითურთ უცხოჲ ეოკლისაგან საეოფელისა, რომელიცა მისიდვეს. ჯ'მე ესრეთსა საეოფელსა შ'ა კრეულსა და მდებარესა წელსა ორსა 7), წარმოიდგებოდიან ეოკლითურთ მუხარებით შემოსილნი იდგანი, და ხედვანი ფერსთა ჩემთანი განდეგდიან საკრძნობელთა ეოველთავე, მას ყამს ბნელ ქმნილთა თვალთა ჩემთაგან. ესე ვითარსა მოუდოდებელად სასტიკსა მდგომარეობასა შ'ა მეოფსა მრავალ-გზის მაიმულებდის გონებაჲ სოფლით განსლვასაცა ნებსით, გარნა უძრესისა მოდოდებაჲ მაეენებდის, ვინაჲ დგან სული უფრო არს ხორცთა,

მეოფმან ესე ვითარსა საეოფელსა შ'ა განვსაჯე თავსა შარის თჯისსა, რათა განმერთნა თავი ჩემი ტეკეობისა მისგან, რო-

---

7) ფრასა „მდებარესა ორსა წელსა“ იმას აღნიშნავს, რომ ორ წელს ვიყოფიო ციხეში, მაშინ როდესაც მან ციხეში დაჰყო სრული ცხრა წელი. (იხ. გიორგისავე მოხსენება ამაზე გრაფ გუდოვიჩისადმი 1806 წელს Акты III, გვ. 126). რადგან გიორგი ამას ქვემო მოგვითხრობს მისს გაქცევას ციხიდან და ხელ-ახლა იმავე ციხეში ჩაგდებას, ამის გამო პირველი დატყვევება გიორგისა გაგრძელებულა ორს წელს, ხოლო მეორე—შვიდს წელს. ჩვენის აზრით პირველად გიორგი უნდა დატყვევებულიყო 1795 წლის დასასრულს, სოლომონ მეფის ქართლიდან მობრუნების შემდეგ, სადაც იგი ეხმარებოდა თვისს პაპას ერეკლე მეფეს აღამაღომეტხანის წინააღმდეგ. ჩვენს აზრს თვით სოლომონის წერილზე ვაფუძნებთ, რომელშიც ის ნამესტნიკს ციციანოვს სწერს 1803 წელს და სხვათა შორის ამბობს: „ვრიგოლ დადიანმა წინააღმდეგობა გამიწია, აღამამადხანის დროსო და ამის გამო ჩვენ ის ჩამოვაგდეთო...ახლა 8—9 წელი იქნებაო, რაც დადიანი გამიწინააღმდეგდაო“ (Акты, II, გვ. 360—I). ჩვენ აქიდან ის დასკვნა გამოგვყავს, რომ გრიგოლ დადიანმა ისარგებლა სოლომონ მეფის ქართლში მყოფობით და მოინდომა გიორგის გამეფება, მაგრამ ვერ მოახერხა: სოლომონმა, ქართლიდან დაბრუნებულმა, ხელში ჩაიგდო გიორგი და დაატყვევა, ხოლო დადიანი განაძო.—ამ ნაირად, თუ გიორგის პირველი დატყვევება მოხდა 1795 წლის დამლევს, მისი პირველი გაქცევა ციხიდან იქნებოდა 1797 წლის დამლევს; ხოლო მეორედ მისი დატყვევება უნდა მომხდარიყოს 1798 ან 1799 წელს.

მელი შეუდგაცა ღონისძიებასა ესე ვითარითა სახითა, რომელ ვიპოვნე დანაკი რაჲმე მცირე და შევმზადენ მის მიერ ბორკილისა კლიტისა მსგავსი გასაღები და მით განვახვენ კლიტეჲ იგი ბორკილთა და დავდუმე ჟამადმდე. შემდგომად რაოდენთამე ჟამთა დროსა შეაღამისასა, ოდესცა მცველნი ჩემნი მიეცნენ უღრმესსა ძილსა, არა რაჲსა მფიქრებელნი სიმაგრისა მისგან განსლვად პატიმართა, აღვსდეგ სარეცელით და ნელიად განსლვულმან საპატიმროთაგან, დავაგდენ ბორკილი და ჩავედ კართად, ვითარცა ბნელსა წყუდიადსა შინა ვიძიე კელითა, ნუ თუ რაჲმე ვპოვნე განსახმელად კართა, რომელმანცა მადლითა მღ̂თისათა ვიპოვე არგანი ერთი და მას შინა დებულნი გასაღებნი ორნი კართა მათ დიდთანი, აღვიღენ მხიარულებითა და განვასხენ კარნი იგი მალიად.

წარვედ ვითარცა ითხოვდა საჭიროებაჲ ჟამისა მის, უვალითა მით შემლებითა ჩემითა ღამესა ბნელსა და მნელსა, კლდიანსა და წყლოვანსა, უდაბურთა ადგილთა შინა.

დამტევებელი მის საჭიროჲსა გზისა, დღესა მესამესა მივედ კვალად პალატსა მეფისასა, ვითარცა კაცი არა რაჲსა ბრალისა მქონებელი და მეგონნეს მეფისა ჩემდა პირველისამებრ მოწყალებითა სიყვარულად მოგებაჲ და ბოროტად შემასმენელთა ჩემთა შეკდემაჲ ვინაჲთგან ეგ-სახედ განთავისუფლებულმან არა ვიძიენ უშორესად უშიშარი მისალტოლველი და მივედ მუნვე გულითა წრფელითა [8]).

გარნა მანვე დაუძინებელმან მტერმან ეშმაკმან, მოძულემან სიუჳარულისა, კვალად აღაშფოთნა პირველნივე მტერნი ჩემნი [9]) და

---

[8]) რადგან პირველი ტყვეობა გიორგისა გაგრძელდა ორ წელს, მეორე ტყვეობა გაგრძელებულა შვიდ წელს (სულ ცხრა წელს იყო ტყვედ, როგორც ვთქვით: Акты П, 435; Ш, 126). ჩვენ ვიცით, რომ მეორედ ტყვეობისაგან გიორგიმ თავი იხსნა 15 ოქტომბერს 1806 წ., აქიდან საგულისხმებელია მისი მეორედ დატყვევება 1799 წელს (1806—7=1799) ან ცოტა ადრე. ეტყობა, რომ პირველ ტყვეობიდან გამოხსნის შემდეგ გიორგის რამდენიმე თვე მაინც დაუყვია მეფის სასახლეში, თუ არ მთელი წელიწადი, სანამ მეორედ დაატყვევებდნენ.

[9]) ალბათ წულუკიძე-წერეთელნი.

აღაგზნეს ცეცხლი ენათა მათთა, ვითარცა პირველ მქონებელთა შურისათა ურთი-ერთარს განხეთქილებისა მეცადინობით, რომელთა შეეწია უბედობასა ჩემსა ალი აღმომდინარე პირთაგან და გულთა მათთა და ჰსთქვეს მეფისად: «უკეთუ ჰყო თავისუფალ, იქმნების მსასოებელ თავისა თვისისა და მკლავთა და არა მეფობისა შენისა». შესწამნეს სხვანიცა ესე გვარნი, ვინა მეფეცა გულტკინეულად ჰსცრემლოდა სიყვარულისა და მოწყალებისა ჩემისა მორედ განკვეთისათჳს, ვინაჲთგან ამხილებდა სჳნიდისი მართალი და მეფობა ღმობილი ჩემზედა უმსჯავროებისა, გარნა მოცვულმან მრავალ სახეთა მეტყველებათაგან ვერ თავს-იდვა განრინებაჲ. ამისთჳს მივეცი მისვე პირველსა ტყეობასა უმეტესითა დაკრძალვითა ციხესავე მუხურისასა, ესრეთ რომელ, თუ ვჰსთქვა, მცველთა ჩემთა ჰსაჯეს ფერხთა ჩემთა ბორკილისა კლიტეთა ჩასხმაჲ ტუჳვისა, და აღასრულესცა განზრახვული, რათა პირველისამებრ არა განვახსნე მოქლონი იგი ბორკილთა.

მომიცვა უმკირესმან ვაებამან, რომლისა არა ძალ-მიძს წარმოთქმად მაშინდელისა ჩემისა მწუხარებისა, თუ ვითარ შემაძრწუნებდენ მყოვარ=ჟამ=მოთმენილნი კვნესანი გულთა და ძრწოლანი სულთა, ვინაჲთგან ეღეზავებოდნენ სასუმელსა ჩემსა ცრემლნი ჩემნი და პურსა—ნაღველნი.

ურვით განლეულსა და სულთქმით შეიწრებულსა ჰშთამავდნეს თავი ფიქრისა ზღჳსასა შინა და მიმოვაქვნდი ჭმუნვისა ღადღოთა, მით რომელ არსით ჰსჩნდნენ შეწევნისა კიდენი სანუგეშონი, თჳნიერ ღმრთისა მოწყალებისა კიდე, რომელსაცა განმივრძელდეს ამა კრულებასა შინა წელნი ცხრა [10]) სხვასა და სხვასა ჭირსა და მწუხარებასა. ხოლო ოდეს მივიწიე სასოწარკვეთილებად, მაშინ გამოჰსჩნდა ნიში ძობიებად წარწყმედულისა ცხოვარისა; ვითარცა მიავ-

---

[10]) ჩვენ გვგონია, რომ აქ იგულისხმება ცხრა წელი პირველის და მეორის ტყვეობისა ერთად, როგორც გიორგი და გენერალი რიკლოფი თანახმად სწერენ გუდოვიჩს (Акты III, გვ. 125 და 126, ხოლო ნიკოლოზ დადიანი (მემატიანე) იმავე გუდოვიჩს სწერს ათის წლის მუხურის ციხის დილეგში ჩაგდებულებას გიორგისას (ibidem, გვ. 125).

ლინა მოციქულნი ქრისტემ, ეგრეთცა მოეკლინა მკედრობას უძლეველი მათის იმპერატორების დიდებულების ყოველთა ადგილთა ოტებად წინაადმდგომთა და დამფარველად მოსავთა ესრედ მოწყალებისა მათისათა, რომელთაცა დაბინაკეს სატახტოსა იმერეთისასა ქუთაისს რომელთამე ნაწილთა მის მკედრობისათა [11]). მსმენელ ამას ვიქმენ მხიარულ გულითა და მოჰსწრასფე სულითა კედრებად მათდა. რომლისამე ცდითა და მოძიებითა კაცთათა წარეკვლინე წერილი და კაცნობე ვითარებათ სასტიკისა მდგომებისა ჩემისა ქუთაითის მეოთხესა დეისტვიტელნის სტატსკის სოვეტნიკსა ბეტრე მაქსიმოვიჩსა ლითონოვსა, რომელიცა აწ არს გუბერნატორად ტფილისისა შ'ა [12]). ხოლო იგი განმაძღიერებდა წერილითა, კ'დ არსო ე'დ მოწყალე ულ'თა შეკირვებულთა უკეკუსტოესი მონარხიო. [13]) კეშალდცა შემისდა გულსა განმსიტეველობათ კნინისათვის თავისა ჩემისა, რათცა ეხმს ტეკესა განჩინებად სამებელი, კარნა დიდს ხანს მფიქრებელმან კერა რათ ვჰპოვე რომელმცა განმეხენეს კარნი ტიხისა და ბორკილნი ფერხთანი გამომეყარნეს ბირველისამებრვე.

დაუტეკე ფიქრი ესე და შეუდეგ სატადსა ამას, რათა ვპოვო ადგილი და გარდავუშვა თავი კლდესა მას ზედა და აჭა ვპოვეცა სარგმელი ერთი მცირე კლდეზედ დგმელს—ჯიხვურს—უქეფდასი სხვათა ადგილთა ტიხესა მის იგვრდიკობათასა და იგიცა სიმაღლის მხარი ცხრა, [14]) ვიდრე შემოსავალს კარადმდე, ხოლო კიბისა ქვეშე კართა ნაბრალნიცა დიდნი—ოცს მხრადმდე.

---

[11]) რუსის ჯარი შემოვიდა ქუთაისს აპრილს 1804 წ. და 4 ივლისს იმავე წლისას (Акты II, 385; 474).

[12]) ესე იგი 1807 წელს.

[13]) რომ რუსის მთავრობას ნიკოლოზ დადიანი ურჩევდა გიორგის სახელით სოლომონ მეფის დამხობას, ამაზე იხ. Акты III, გვ. 125. სჩანს, რომ ლიტვინოვს ეს რჩევა მიუღია და მისს აღსრულებას შესდგომია.

[14]) ცხრა მხარი იქნება არა ნაკლებ შვიდის საუენისა. მუხურის ციხის ნაშთები აქამდი კარგად შენახულან და გიორგის ნაწერის სიმართლეს ამოწმებენ.

განმსჯელმან ესე კითარისა განზრახვისა დაკვმტკიცე, რათა გარდაკეშე სარგმლისა მისგან და მიკეურდნა საფუძველსა და სუფტ-სა მათის იმპერატორების დიდებულებისასა [15]).

კეშოკე ძეი მაგარი და ამოგზოომენ ადგილი იგი სარგმლით გარდასტეკებელი, რომელიცა იყო მხარი ცხრა და განვიზრახვიდი, შეიძლებაა, რომელ მოვიდეს კინმე და მოიტანოს ბაწარი კიბისა კარსა მას, ამოგზიდო იგი ძეთითა მით, მოკაბა სარგმელსა და გარ-დაეგეშა მუნით. კეშოკე კაცია ამგვარი შეწევნითა მღუდლისათა, რომელი იყო მოძღვარი ჩემი ტუკეობისა მას შ-ა, განვუტხადე აღ-სარებისა შ-ა, და კამენ დამარხვად. იგი შეუდგა საქმესა ამას და იშოკა კაცი ერთი, რომელიცა აწ აქა არს ჩემთანა [16]) მოძღებული ბაწრისა მის და დაკვმტკიცეთ, რათა მოვიდეს შემდგომად ვახშისა და დაიმალოს ციხისა ბჭესა შ-ა. აღვიდე მე ჯიხვურსა მას, გარ-დაეგეშა ძეი და აღმოგზიდო ბაწარი, გარნა არა შეიძლებოდა ესე ბოროტისა დაუსრულებლად, კიმეე დროდ, იდუმალ მოვიპარენ საჭურ-თელი ზატარა და მით აღმოვიღე ტუკა ბოროტისა მისგან და შეკ-მუსრე ენადცა მისი. ესე ყოველი საიმზადისი განგრძდა წელსა ერთ-სა. [17]) სოდო აღესრულნა რა ესრეი მოვიდა მოპარებული კაცი

---

[15]) ლიტვინოვის რჩევა ეს იყო.

[16]) ესე იგი მოსკოვში მახლავსო ის კაცი.

[17]) სჩანს 1805 წლიდან ლიტვინოვი შესდგომია გიორგის გამოხსნას. მთელი წელიწადი ემზადებოდა გიორგი; მას ეწევა მღვდელი და სხვა კაცები, ძაფს, თოკს, დანას, ტილოს და სხვა მასალას აწვდიან, წერილები მიაქთ ლიტვინოვიდან გიორგისთან და ამისგან ლიტვინოვთან და თვით ნამესტნიკ ციციანოვთან (Акты III, 393), გაქცეულსაც ცხენს უშოვნიან და სხ.—ყოველივე ეს, ჩვენის აზრით, იმის მომასწავებელია, რომ გიორგის გამოხსნაში ერია ფრთხილი და მოხერხებული ლიტვინოვი, თუმცა გიორგი განზრახ ჰმალავს ყოველსავე ამას, რადგან ამ ავტობიოგრაფიის დაწერის დროს ყველა ეს პირნი ცოცხალნი იყვნენ. ამასვე უნდა მოასწავებდეს ნამესტნიკ ციციანოვის მოხსენება ხელმწიფესთან 16 აპრ. 1805 წელს, რომელშიც უგზავნის რა რუსეთის მეფეს გიორგის თხოვნას, მოახსენებს, რომ „შვიდი წელიწადი არისო, რაც ეს გიორგი სოლომონ მეფეს დილეგში დატყვევებული ჰყავსო; არა ერთჯერ ვთხოვეო მას გაეთავისუფლებინა იგი, მაგრამ იმერეთის მეფე ჯიუტობსო“. ამ მოხსენების პასუხად მოვიდა რუსთ-ხელმწიფის ბრძანება: განთავისუფლებულ იქმნასო გიორგი და გამოგზავნილ პეტერბურგშიო (Акты II, 435).

ესე საათსა მეშვიდესა ღამისასა, რომელსაცა დროსა მაქვნდა მე ჩემულებაჲ ადსლვად ჯისკურსა მას შემდგომად ვასშმისა სალოცავად, რომელსა ძალითცა მეტიხოვნეთა მათ არ ეფიქრებოდათ გარდაშვებაჲ კეტთა. ოდესცა ადვედ სარკმელსა მასზედან, გამოიხნდა ნიშითა კეტი ესე, ხოლო მე მეის გამოვისვენ ბორკილი, გარდავუშვი ძაფი, ადმოვზიდე ბაწარი და ტიღო, რომელიცა ებნეს მას ამისთვის, რათა არა გინმეზარნეს ბაწარსა სელნი, რამეთუ ტიღო ულბილეს იქნებოდა სელთა ჩემთა, მოვაბი სარკმელსა თავსა და გარდავუშვი მსწრაფად წელსა 1806-სა, ოკტომბერსა 03 (16), დღესა ორშაბათსა, მეშვიდესა ჟამსა ღამისასა.[18]) გარნა თუმცა სელთა ჩემთა ძარდენი განიდიენეს, მაგრამ სიხარულმან არდა მომასსენა ტკივილი არა რაჲ.

თუმცა მალიად იგრძნეს გამოპარვაჲ ჩემი, მაგრამ დეგანი მათგან თვინიერ სიმაშვრალისა კიდეე ვერა რასა იქმოდენ. ვიდრე ჟამსა ოთხსა, გარნა მოუმლურდი სლვითა, ვისაითგან **წელთა ცხრათა** ვიუარ ვნიდა უძრაკად,[19]) გარდაჩვეული. არამედ მალმან სალმრთომან შემასვენერა გზასა ამას ჯერი ერთი უცნობი, რომელმანმცა მომცნა ცხენი თანა. დაუოვნებლივ ადვსეგ მასზედ და ვიპოვნენ თავი ოვისი განთიადისა ჟამსა ქუთაისს გარეშეთ უფლისა ღვინერად მაიორისა რიეზოვისა თანა. შეუკრდი ცად ამალებულსა დრო-

---

[18]) იმ დროს ანგარიშობდნენ საათობით დილიდან (1 საათი) საღამოდი (12 საათი) და საღამოდან (1 საათი) დილამდი (12 საათი); ამის გამო შვიდი საათი ღამისა ახლანდელ ანგარიშით უდრის პირველს საათს ღამისას.—1806 წელს 16 ოქტომბერი მართლა ორშაბათს მოდიოდა, მაგრამ გენერალი რიეზოფი, ქუთაისს დაბანაკებულის რუსის ჯარის უფროსი, გუდოვიჩს სწერს 21 ოქტ. „Находящійся въ теченіи девяти лѣтъ заточеннымъ въ крѣпости у Имеретинскаго Царя Соломона царевичъ Георгій, наслѣдникъ ближайшій царства Имеретинскаго сего мѣсяца 15 числа, ...оставя крѣпость, явился ко мнѣ“ (Акты III, 125).

[19]) თუ ვიგულისხმეთ ცხრა წლოვანი მეორე ტყვეობა გიორგისი და ორ წლოვანი პირველი, მაშინაც ჩვენი აზრი არ ირღვევა იმაზე, რომ პირველად გიორგი უნდა დატყვევებულიყო აღამაჰმედხანის შემოსვლის უმალ 1795 წ. დამლევს; რადგან 9+2=11, ხოლო: 1806 წ.—11=1795 წელი.

შესა მათის იმპერატ. დიდებულებისას და უძლეველსა მხედრობასა მისსა, რომელთა მიერცა მომეტნეს სასოება სიცოცხლისა ჩემისა.

მიმიღეს სიყვარულითა და გამოუცხადეს მმართებელსა გერძოჲსა ბეგნისასა და 1 ხვათა. მოახსენეს უბრწყინვალესსა გრაფსა ივან ვასილიევიჩსა გუდოვიჩსა, [20]) რომელისა მიერმცა მე დაბარებული თფილისად, წარდგენითა მის-მიერ მათის იმპერ. დიდებულებისადმი თხოვისა ძლით ჩემისა თფილისით, რათა ვისიდვო ღვთის მიმსგავსებული სახეჲ მათისა დიდებულებისა. უკვეკვისტოესმან მოსარეხმან სათნო იჩინა აღსრულებად თხოვისა ჩემისა, რომელისთვისცა წარმომიგზავნა თფილისით დანიშნულმან გრაფმან ჩუზ-სა წელსა, აპრილის 23-ს რიცხვსა, [21]) რომელისა ძლითცა მიმეფარა ყოველი მწუხარებაჲ და არღა მომესენებაინ ყოველნი იგი შემთხვევანი უბედობათა ჩემთა, ვინა ვიქმენ მცა ახალ-შობილ, და ესრედ დაიცვა სიცოცხლე ჩემი უ^ფ მოწყალემან მაძამან ოლოლთამან და მტკველმან ქვეყანათამან და ხელის აღმშურობელმან შეკერვითა დიდმან ერთმთავარმან აღექსანდრე პირველმან.

ამ^ბრთომელთ უკნინესნი ესე ვითარებანი უბედობისა ჩემისა ყოველთა აღმომეითხველთა და სცანთ შემოკლებით ნამყონი შემთხვევანი ჩემნი ჩემზედ გარდასრულნი, რათა ვიქმნე მით ძეგლ-სასხლოვრად სოფელსა შ^ბ. მეუფისა სოლომონ პირველისა ძის მე გი-

---

[20]) გუდოვიჩს, გიორგი სხვათა შორის სწერს 3 ნოემბ. 1806 წ., რომ დიდმა მეფემ სოლომონმა შემდეგ მამა ჩემის სიკვდილისა მისი ხარისხი (ესე იგი ტახტის მემკვიდრეობა) მე მიბოძაო; მაგრამ მეფის სიკვდილის შემდეგ დამატყვევესო: „Я освободился съ великимъ рискованіемъ и жертвую себя Е. Императ. Величеству“, ამასთან ითხოვს, ჩემი ქვეყანა მე დამიბრუნეთო (Акты III, 126). გიორგი 26 ნოემბერს ტფილისს გაგზავნეს ექვსის მოსამსახურე თვისის კაცებით და დღეში გაუჩინეს სარჩოდ ხუთ-ხუთი მანეთი (იმ დროს დიდი ულუფა): Акты III, 127. გიორგის ხელში ჩაგდების შემდეგ რიკლოფი, ლიტვინოვი და საზოგადოდ რუსთ მთავრობა უგულოდ ეპყრობოდა სოლომონ მეფეს, რომელიც ხელმწიფესთან სჩივის; რიკლოფმან ქუთაისი წამართვეო, ჩემს სასახლეში სცხოვრობსო და ჩვენთა თავადთაგან წართმეული გოგოები ჰყავსო ხარჯად (Акты III, 137), რამდენიმე თვის შემდეგ გიორგის გამოხსნისა რუსთ მთავრობამ გადასწყვიტა სოლომონ მეფის დატყვევება 16 თებერ. 1807 წ. (Акты, III, 131; 154).

[21]) აქ იგულისხმება ტფილისით რუსეთში გაგზავნა გიორგისი.

ორგი. ჩყზ-სა წელსა, აგვისტოსა თ-სა რიცხვსა. ღვთივ-დაცვასსა სამეუფეო ქალაქსა მოსკოვსა». 22)

ბოლოს ლექსად:

«მოვგონდე მარად მტირალი, მოშორვებისთვის წყვლულია:
სული შენ დაგრჩა, გონება, მსხვერპლად მიიღე გულია;
სჯობდა არ თურე შეგემცნე, რადგან მქმენ გულ-მოკლულია,
განვალ მე სოფლათ მტირალი, გახსოვდე თქვენთვის თქმულია,

თუ მოვკვდე, მზეო, ანამე ცრემლი გიშრისა ღარებით;
იტყოდე, განვლო სოფელსა ჩემთვისა მან ნაწამებით;
ვერ გნახავ, როსცა დავიწვი გულთ-ცეცხლთა ამონაღებით —
ჰხამს სატირლისა ტირილი სრულ-სიტყვათ წარმონაღებით.

გაყრა თქვენი გულსა ჩემსა ვითა ტილო ესუდრების,
წამ-წუმ საკვდად გული მიწუხს, თვალთა ცრემლი მომქუხდების,
რაზომც ნათობს სინათლეჲ ჩემთვის ბნელად მოშუქდების,
ზამთრად მექცა მე ზაფხული, ღრუბლით გრგვინვა მოქუხდების».

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ ლექსში გიორგის გამოუთქვამს თავისი მწუხარება ცოლშვილთან გაყრით გამოწვეული. ეტყობა, რომ ცოლშვილი საქართველოში დარჩენია მეფის შვილს. ეს უნდა მომხდარიყო მისგან დამოუკიდებელ მიზეზით. მართლაც, ჩვენ საბუთი გვაქვს იმისა, რომ გიორგის ცოლი, ცნობილის რაჭის ერისთვის როსტომის ასული დარია (დარეჯან), ნიკოლოზ დადიანს ჩაუგდია ხელში და 18 მარტს, 1809 წლისას, მასთან იმყოფებოდა (Акты Кав. Арх. Ком. т. III, გვ. 236); ალბად ის გაჰყვებოდა სამეგრელოში სოლომონ მეფის ცოლს, კაცია დადიანის ასულს მარიამს, რომელმაც ამ დროს სამეგრელოში თავისს ნათესავებს შეაფარა თავი, როდესაც სოლომონ მეფეს რუსთ მხედრობა სდევდა დასაჭერად (ibid, გვ. 131, 154, 170, 206, 235 და 333). ამნაირად ცხადი ჰხდება, რომ გიორგის ცოლშვილი

22) იქიდან სჩანს, რომ ეს ავტობიოგრაფია გიორგის დაუწერია მოსკოვში, მისვლის შემდეგ ხანგამოუშვებლად.

947.922
Ჟ 841

არ წაჰყოლია რუსეთში და, ამ გარემოებით აღძრული თავისი გრძნობა გამოუხატავს ზემოხსენებულს თავისს საგულისხმო ლექსში. შესანიშნავია, რომ გიორგის უგრძვნია სიკვდილის მოახლოვება და ეს თავისი გრძნობა ამ ლექსში გამოუხატავს წინასწარმეტყველურად: «განვალ მე სოფლით», «ვერ გნახავ» და სხვ. მართლაც, ეს წინასწარ-მეტყველება მალე აუსრულდა მეფისძეს: სამის თვის შემდეგ ამ ლექსის დაწერისა, გიორგი მოკვდა ცოლშვილის უნახავად ყვავილით მოსკოვში, 24 ნოემბერს, 1807 წელს (სასაფლაოს ქვის წარწ. ტარასი არქიმ. მესხიშვილის გადმოწერილი; ბროსეს ეს წარწერა აღმოუკითხავს შეცვლით, ვითომც იქ ეწეროს 24 სექტემ. Inscr. tumulaires № 89, 95; აგრეთვე Акты Арх. Ком. III, 212, 247), ახალგაზდა, სულ 32 წლისა. მისი ცოლი, დარია, შემდეგ მისულა მოსკოვში შვილებითურთ,—ალექსანდრეთი (შემდეგ გენერალ-ლეიტენანტი) და დიმიტრით (შემდეგ გენერალ-მაიორი: † 1845 წ.: Brosset: Addit. a l'H. de la Geor. IX, p. 644) და სიკვდილის შემდეგ დასაფლავებულა ნევის ეკკლესიაში 1816 წ. 16 იანვარს, 37 წლისა (ტარასი არქიმ. გადმოწერილი საფლავის ქვის წარწერანი № 17) და ბროსსეს Hist mod. 1796).

თ. ჟორდანია

...მეცნიერებათა აკადემია
აკად. ი. გრიშაშვილის სახელობის ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей имени Акад. И. Гришашвили
Академия наук ГССР

947.922
Л 841